

ხმოვანფუძიან არსებით სახელთა მოდელირებისათვის სასრული  
პოზიციის გარდამქმნელის გამოყენებით  
(ძველი ქართული ენის მიხედვით)

ლია სერგია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2016

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სერგია ლია

27.06.2016

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია ხმოვანფუძიანი არსებითი სახელის კომპიუტერული ნიმუშის შექმნა სასრული პოზიციის გარდამქმნელის გამოყენებით. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ბუნებრივ ენაზე შექმნილი ტექსტის დამუშავება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

ნაშრომი მეთოდოლოგიურად შერეული კვლევის კატეგორიაში მოიაზრება. მასში ნაჩვენებია საკვლევო ობიექტების რაოდენობრივი და თვისობრივი შესწავლის ხერხები და საშუალებები.

კვლევა ეფუძნება, ერთი მხრივ, კომპიუტერულ უზრუნველყოფას - სასრული პოზიციის გარდამქმნელს, და მეორე მხრივ, V-VI სს-ის ძველ ქართულ ხელნაწერებს: „მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა“ და “წამება წმიდისა შუშანიკი დედოფლისა“, საიდანაც საანალიზო ფორმებია წარმოდგენილი.

ჩვენ მიერ შერჩეული ხელნაწერების პირველადი დამუშავებისათვის კვლევის საწყის ეტაპზე გამოვიყენეთ კორპუსის მენეჯერი - ანტკონკი, რომლის დახმარებით მოხდა ტექსტების სტატისტიკური დამუშავება. ანტკონკის გამოყენების შედეგად მივიღეთ ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელების ანბანურად დალაგებული სია ბრუნვის ნიშანთან, კონტექსტთან და გამოყენების სიხშირესთან ერთად.

კვლევამ აჩვენა, რომ სასრული პოზიციის გარდამქმნელი საკმაოდ მოქნილი პოგრამული უზრუნველყოფაა აგლუტინაციური ტიპის ენების კომპიუტერული მოდელის შესაქმნელად. კვლევის შედეგად მივიღეთ მორფოლოგიური ანალიზატორი, რომელსაც შეუძლია გაარჩიოს V-VI სს-ების ძველ ქართულ ხელნაწერებში არსებული ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელების უთანდებულო ფორმები.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი, სწორად და თანმიმდევრულად აღწერს ხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნვის პარადიგმას და მის რეალიზაციას.

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის კომპიუტერული დამუშავების საქმეში. იგი ხელს შეუწყობს ძველი ქართული ენის შემდგომ ტექნოლოგიურ განვითარებას.

## ძირითადი საძიებო სიტყვები

სასრული პოზიციის გარდამქმნელი, სიტყვის ზედაპირული სტრუქტურა, სლოტი, ლემა, დერივაცია

## აბრევიატურების ჩამონათვალი

Pl – Plural - მრავლობითი რიცხვი;

Sg – Singular - მხოლოდობითი რიცხვი;

Abs – Absolutive - წრფელობითი;

Nom – Nominative - სახელობითი;

Erg – Ergative - მოთხრობითი;

Dat – Dative - მიცემითი;

Gen – Genitive - ნათესაობითი;

Ins – Instrumental - მოქმედებითი;

Abl – Ablative - ვითარებითი;

Voc – Vocative - წოდებითი;

Emp – Emphatic - ემფატიკური ხმოვანი, სავრცობი;

Par – Particle - ნაწილაკი.

xfst - XEROX Finite State Transducer - ესეროქსის სასრული მდგომარეობის გარდამქმნელი